



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთის არწივი

მთის არწივი (*Aquila chrysaetus*), ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძეა 76–89 სმ, ფრთების შლილი - 190–227 სმ, მასა - 6,5 კგ-მდე; დედალი მამალზე დიდია. აქვს შედარებით მოკლე, მაგრამ ძლიერი ნისკარტი, გრძელი ბრჭყალები, პროპორციულად გრძელი კუდი და ფრთები, მათ ბოლოებზე ბუმბული თითების მსგავსადაა განლაგებული. კუდის ბოლოში აქვს ფართო შავი ზოლი. იგი მკვეთრად ეტყობა ახალგაზრდას, რ-საც თეთრი კუდის ძირი და იმავე შეფერილობის თეთრი ლაქები აქვს ფრთებზე. ფრთის ქვედა მხარე მუქი მურაა. ზრდასრული მუქი ყავისფერია ოქროსფერი თავით.

გავრცელებულია ევრაზისა, ჩრდ. აფრიკისა და ჩრდ. ამერიკის ტყის ზონასა და მთიანეთში. ეტანება ფართო ღია სივრცეებს: ჭაობებს, მდინარეთა ხეობებს, ტბების ქვაბულებს, ვერან ადგილებს; მთებში ჩვეულებრივ სახლობს ტყის ზედა საზღვრის მაღლა. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად, გვხვდება მ. ა. ქვესახეობა — სამხრეთევროპული მ. ა. (ლატ. *A. chrysaetus fulvus*). მკვიდრი ფრინველია, თუმცა, გამოარტი მათი ნაწილი სამხრეთისკენ მიფრინავს. ცხოვრობს კლდეებსა და მაღალ ხეებზე, იშვიათად ვაკე ადგილებზე (კლდოვან ქანებზე), უდაბნოში — შავი საქსაულის ხეებზე.

შეუძლია დიდხანს ლივლივი. ძლიერი მტაცებელია, შეუძლია თავისზე დიდი მსხვერპლის დაჭერა. იკვებება მღრღნელებით, ღეშით, კურდღლებით, ფრინველებით, ამფიბიებით, ქვეწარმავლებით, მწერებით. ნადირობს ღია სივრცეში, პირდაპირი თავდასხმით ან ყარაულით. დედალ-მამალი ხშირად ერთად ნადირობს. მღრღნელთა განადგურებით სოფლის მეურნეობისათვის სარგებლობა მოაქვს.

სქესობრივ სიმწიფეს 4-5 წლის ასაკში აღწევს. მონოგამიური ფრინველია, ანუ ქმნის მუდმივ წყვილებს (ერთ-ერთის სიკვდილამდე). საქორნინო ფრენას იწყებს თებერვალში. აქვს 2-4 ბუდე, რ-ებსაც რიგრიგობით ხმარობს. ბუდე წარმოადგენს ტოტების ნაყარს, რ-იც თხლად არის ამოფენილი მშრალი ბალახით. ყოველწლიური შეკეთების გამო ზოგჯერ გიგანტურ ზომას აღწევს — სიგანესა და სიმაღლეში 2 მ-მდე. მარტ-აპრილში დებს 1-2-3 მოთეთრო ფერის მურალაქებიან კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 40-45 დღე, კრუხობს ორივე მშობელი. თუკი პირველი ბუდის მართვები დაიღუპნენ, ბუდობს მეორედაც. მართვები შებუმბვლას იწყებენ მაისის დასაწყისში და ივნისის ბოლოსკენ მთლიანად იმოსებიან. ისინი დაახლ. 80 დღის შემდეგ ბუდეს ტოვებენ. მ. ა. ტყვეობაშიც მრავლდება. ჩრდ-ით მობუდარ არნივთა მართვები ხშირად აგრესიულები არიან და უფროსი უმცროსს ჰამს, რაც განპირობებულია მკაცრი ბუნებრივი პირობებით..

2021-იდან თბილ. ზოოპარკში არის რამდენიმე მ. ა. მოყვარული მონადირეები მ. ა-ს წრთვნიან და იყენებენ მელიებზე, კურდღლებზე, იშვიათად - მგელზე, ჭეირანზე და სხვა ცხოველებზე სანადიროდ. შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“.

რ. უორდანია
